

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს 1999 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს 1999 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა წარმართოს სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მიზნით ზომიერად დაბალი ინფლაციის პირობებში.

2. 1999 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას საფუძვლად დაედოს მაკროეკონომიკური წონასწორობის აღდგენის სტრატეგია, რომლის შესაბამისადაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 1999 წელს განისაზღვროს 2%-ით, ხოლო წლიური ინფლაცია – 10%-ით.

3. 1999 წელს ფულის მულტიპლიკატორი გაიზარდოს 0,03%-ით წლის მეორე ნახევარში ფინანსური შუამავლობის გააქტიურების ხარჯზე, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის მკვეთრად დაცემის თავიდან აცილებას, ლარის გაცვლის კურსის სტაბილურობასა და საპროცენტო განაკვეთების შემცირების პირობების შექმნას.

4. 1999 წელს გამოყენებულ იქნეს ეროვნული ვალუტის თავისუფალი მცურავი კურსის რეჟიმი; ვალუტის კურსი ჩამოყალიბდეს ბაზარზე ვალუტაზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე; ლარის კურსის საშუალო წონასწორული მაჩვენებელი განისაზღვროს 1 აშშ დოლარის მიმართ 2,1-2,3 ლარის ფარგლებში.

5. 1999 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა:

ა) ლარის მსყიდველობითი უნარის შენარჩუნებისა და ეკონომიკის შესაბამისი ფულადი მასით უზრუნველყოფის მიზნით განახორციელოს კონტროლი ფულის მიწოდებაზე ფულის რაოდენობრივი ზრდის მაჩვენებლებზე ლიმიტის დადგენით;

ბ) განახორციელოს ფულადი მასის ზრდა ეკონომიკური ზრდის აღეკვამურად; უზრუნველყოს მიმოქცევაში არსებული ფულის (M2 აგრეგატი), ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების ჩათვლით, ცვლილების მნიშვნელოვანი გავლენა ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკაზე; 1999 წელს M2 აგრეგატი 1998 წელთან შედარებით გაიზარდოს 12,8%-ით, ხოლო M3 ფართო ფულის აგრეგატი, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების ჩათვლით, – 11%-ით. 1999 წელს უზრუნველყოფილ იქნეს 1998 წლის ბოლოსთან შედარებით ფულის მიმოქცევის სიჩქარის 5%-ით ზრდა;

გ) ფულის მასის ზრდის მიზნით გამოიყენოს მხოლოდ ფულის არაინფლაციური მიწოდება მთავრობისა და კომერციული ბანკების დაკრედიტების გზით;

დ) მიმოქცევაში ნაღდი ფულის ზრდის, უცხოური ვალუტის რეზერვების შემცირებისა და ინფლაციური მოლოდინის გაძლიერების თავიდან აცილების მიზნით არ დაუშვას საფინანსო პროგრამით გათვალისწინებული მაჩვენებლის გვეით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაკრედიტება;

ე) კომერციული ბანკების დაკრედიტების მიზნით რესურსები გამოიყენოს ისე, რომ 1999 წლის ბოლოს ეროვნული ბანკისადმი მათი დავალიანების თანხამ

შეადგინოს არა უმეტეს 12 მლნ ლარი; დაკრედიტება განახორციელოს ძირითადად საკრედიტო რესურსების აუქციონებით, ლომბარდული დაკრედიტებით და რეპოპერაციებით საბაზრო საპროცენტო განაკვეთით; 1999 წელს სარემბერვო ფულის ბრდა ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ადეკვატური უნდა იყოს და შეადგინოს 5,3 %;

ვ) მკაცრად შეზღუდოს თავისი მონაწილეობა ბაზარზე და უცხოური ვალუტის ჭარბი მიწოდების პირობებში შემოიფარგლოს მხოლოდ მისი ყიდვით; არ დაუშვას ლარის კურსის იმ ზომით აწვევა, რომელიც ეწინააღმდეგება იმპორტისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ბრდის ინტერესებს; უზრუნველყოს საერთაშორისო რემბერვების სიდიდის ბრდა 1999 წლის ბოლოსათვის იმპორტის წლიური მოცულობის 2,6 თვის ოდენობით;

ზ) შიდა სავალუტო ბაზარზე საბაზრო მექანიზმების ეფექტიანად ამოქმედების მიზნით მიიღოს ზომები ბაზრის ინფრასტრუქტურისა და ფუნქციონირების შესახებ საკანონმდებლო ბაზის უზრუნველსაყოფად; განახორციელოს აუცილებელი ღონისძიებები სავალუტო სფეროში აღრიცხვიანობის მოწესრიგებისა და კონტროლის მიზნით; გააძლიეროს ზედამხედველობა კომერციული ბანკების მიერ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებზე;

თ) ფულის მიწოდების რეგულირებითა და საბანკო სისტემის სრულყოფის ღონისძიებების განხორციელებით შექმნას საპროცენტო განაკვეთების საერთო ღონის თანდათანობით შემცირებისა და ოპტიმიზაციის პირობები, მდგრადი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებით ხელი შეუწყოს საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან და ღონორი ქვეყნების საკრედიტო ინსტიტუტებიდან შეღავათიანი კრედიტების მიღებას;

ი) ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების მიზნით, არსებული მექანიზმების პარალელურად, სახაზინო ვალდებულებების ემისიის განახლებისა და ამ ვალდებულებების მეორადი ბაზრის ფორმირებისთანავე დანერგოს კომერციულ ბანკებთან სახაზინო ვალდებულებებით რეპოპერაციების განხორციელების პრაქტიკა და ლომბარდული კრედიტების გაცემა;

კ) უზრუნველყოს მინიმალური სარემბერვო მოთხოვნების ნორმის პერიოდულად გადასინჯვა და ამ მექანიზმის სრულყოფა;

ლ) უზრუნველყოს კომერციული ბანკების განვითარების სტრატეგიული გეგმის განხორციელების დასრულება; მიიღოს ზომები, რათა კომერციული ბანკების მიერ 1999 წლის ბოლოსათვის განაღდებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა გაიზარდოს 3 მლნ ლარამდე;

მ) კომერციული ბანკების მიერ გრძელვადიანი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და გამოყენების მიზნით განიხილოს უცხოური ინვესტიციებით კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალის მყარ ვალუტაში ფორმირების საკითხი; გააგრძელოს კომერციული ბანკების შეფასება CAMEL-ის რეიტინგის საერთაშორისო სისტემით, დროულად გამოავლინოს მე-4 და მე-5 რეიტინგის მქონე ბანკები და შეიმუშაოს და განახორციელოს მათი უმკვიფნეულოდ რეორგანიზაციის ღონისძიებები; 2000 წლის 1 იანვრამდე დაასრულოს ლიცენზიაჩამორთმეული ბანკების ლიკვიდაციის სამუშაოები;

ნ) ნაღდი ფულის საბანკო სისტემაში მოქცევის მიზნით უზრუნველყოს მონგრანის ეფექტიანი ანგარიშსწორების სისტემის დანერგვა 1999 წლის განმავლობაში;

ო) დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილოს დეპოზიტების დაბეგვრისაგან განთავისუფლების მიზანშეწონილობის საკითხი;

პ) საბანკო სისტემის სტაბილურობისა და საიმედოობის უზრუნველყოფის, აგრეთვე კომერციული ბანკების საქმიანობასა და მათ ფინანსურ მდგომარეობაზე ზედამხედველობის ხარისხის ამაღლების მიზნით გააგრძელოს საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფა, კერძოდ, შეიმუშაოს და დანერგოს კომერციული ბანკების დებიტორულ დავალიანებებზე რეზერვების შექმნის წესები, გამოსცეს ნორმატიული აქტები „უცხო ქვეყნების ბანკების ფილიალების ზედამხედველობისა და რეგულირების წესების შესახებ“ და „ბანკების ზედამხედველობის ღონისძიებათა სისტემის შესახებ“, დანერგოს კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში წარსადგენი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აღრიცხვის ახალი ფორმები;

ჟ) კომერციული ბანკების ასოციაციასთან ერთად შეიმუშაოს ღეპოზიციების დაზღვევის მექანიზმი.

6. ეროვნული ბანკის მიმართ მთავრობის წმინდა დავალიანება გაიზარდოს 125,5 მლნ ლარით, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გათვალისწინებულ იქნეს 15,5 მლნ ლარი წლიურად 12%-ის გადახდით, ხოლო ეროვნული ბანკის რეკაპიტალიზაციისათვის – 110 მლნ ლარი წლიურად 20%-ის გადახდით; წლის განმავლობაში განხორციელდეს მთავრობის დაკრედიტება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით, საფინანსო პროგრამის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე

ედვარდ სურმანიძე.

თბილისი,
1999 წლის 19 მარტი.
N 1839 - III